სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი **2014 წლის 30 სექტემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოსწევრები: 1. გაგნიძე ინეზა2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. ზარანდია ერეკლე 5. ჩიტაძე სოფიო 6. ელიაშვილი მერაბი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. ომანაძე როლანდი 9. იმნაძე პაატა 10. ოკრიბელაშვილი ნინო 11. მაცაბერიძე მალხაზი 12. შამილიშვილი მანანა 13. წერეთელი მარი 14. ჩოხელი ლევანი 15. ბარამიძე ცირა 16. ბახტაძე მიხეილი 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლორია კახაბერი 20. პაიჭაძე თამარი 21. ახლოური ბექა 22. სამხარაძე ლაშა 23. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. ქურდაძე რამაზი 3. დავითაშვილი ზურაბი 4. გერსამია მარიამი5. შენგელაია ალექსანდრე 6. ნადარაია ელიზბარი 7. კოპალეიშვილი მაია8. სურგულაძე ნუგზარი9. გველესიანი რევაზი 10.მარშავა ქეთევანი 11. გალდავა გიორგი(დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების ნაწილის გასხვისების საკითხის განხილვა
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულების ცვლილების დამტკიცება
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების ცვლილებების დამტკიცება
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულების ცვლილებების დამტკიცება
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების ცვლილებების დამტკიცება
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის ცვლილებების დამტკიცება
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცება
8. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის

№112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №97/2014 დადგენილების დამტკიცება

9. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბერის №96/2014 დადგენილების დამტკიცება

10. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბერის №95/2014 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების ნაწილის გასხვისების საკითხი და აღნიშნა, რომ საუბარია უნივერსიტეტის მე-11 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ხიმინჯებზე. ამ ტერიტორიაზე ივარაუდებოდა ახალი კორპუსის აშენება, თუმცა მშენებლობა რამდენიმე წელია შეჩერებულია. სხვადასხვა კომპანია რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად უკავშირდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საინტერესო შემოთავაზებებით ამ ადგილის განაშენიანებასთან დაკავშირებით. წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია დაიწყებს მოსამზადებელ სამუშაოებს, დადგინდება ხიმინჯებისა და ფუნდამენტის გამძლეობა, არსებული ნაგებობა შემოწმდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, სპეციალური აუდიტი კი დაადგენს ფასს. ხსენებულ ტერიტორიაზე ივარაუდება პროფესორებისა და სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის მოწყობა. დეტალები წინასწარ უცნობია. ამ ეტაპზე აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყოს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ცირა ბარამიძემ და ინეზა გაგნიძემ, ბატონებმა - კახებარ ლორიამ და ბეჟან თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტისათვის სასურველი ოდენობითა და სახით სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო საცხოვრებლის ტიპის შენობის აშენების (მოწყობის) მიზნით, გასხვისებული ნაწილის სანაცვლოდ და მისი ღირებულების პროპორციულად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების ნაწილის (მე-11 კორპუსის მიმდებარედ არსებული ხიმინჯები) გასხვისებასთან დაკავშირებული ღონისძიებები დაწყების თაობაზე.

2. მედიცინის ფაკულტეტი დეკანის მოადგილემ, ბატონმა დიმიტრი კორძაიამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო მედიცინის ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი. მისი განცხადებით, ცვლილებებით ფაკულტეტს საშუალება ექნება, გამოსცეს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი. მედიცინის სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს სტატიების გამოქვეყნების ვალდებულებას უწესებს. ამ მხრივ, დოქტორანტს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მინიმუმის შესრულება ხსენებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებით შეეძლება. ჟურნალი ელექტრონული ფორმით გამოიცემა და ინგლისურენოვანი იქნება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონმა ნუგზარ თოდუამ და ქალბატონებმა- ცირა ბარამიძემ და ინეზა გაგნიძემ. ქალბატონი ცირა ბარამიძის განცხადებით, აუცილებელია ჟურნალი ქართულ ენაზეც გამოიცეს, ვინაიდან ქართული მეცნიერების ენა ქართულია და სახელმწიფო ენის სტატუსი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული. ამასთან დაკავშირებით ბატონმა დიმიტრი კორძაიამ განაცხადა, რომ ჟურნალის კონცეფცია დეტალურად დამუშავდება და აღნიშნული მოსაზრება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, სრულიად შესაძლებელია, ჟურნალი ორენოვანი იყოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი:0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში. (დანართი 3)

3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმოადგინა ბიბლიოთეკის დებულების ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილებები

ტექნიკურ ხასიათს ატარებს და უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილებითაა განპირობებული.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი:0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში. (დანართი 4)

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო იურიდიული დეპარტამენტის დებულების ცვლილებების პროექტი. მისი განმარტებით, ცვლილები ტექნიკურ ხასიათს ატარებს და დებულების შინაარსში არსებითი მნიშვნელობის მქონე შესწორება არ შედის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი:0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულებაში. (დანართი 5)

5. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ წარმოადგინა პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულების ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებებითაა განპირობებული. პროექტი შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში. (დანართი 6)

6. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო საფინანსო დეპარტამენტის დებულების ცვლილებების პროექტი. ცვლილებები შეეხება დებულების სათაურს, რომელიც უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილებებიდან გამომდინარე, ცვლილებას მოითხოვდა. დებულებიდან, ასევე, ამოღებულ იქნა რეგენტთა საბჭო და მისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის წარდგენის ვალდებულება, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებულ უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებს რეგენტთა საბჭოს წინაშე სამართლებრივი ვალდებულებები არ გააჩნიათ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულებაში. (დანართი 7)

7. კანცელარიის უფროსმა, ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმოადგინა კანცელარიის დებულების პროექტი და აღნიშნა, რომ კანცელარიის სტრუქტურაში ცვლილებებია, იქმნება ახალი განყოფილება, რომელიც გაამარტივებს საქმის წარმოების პროცესს. დებულების პროექტში დაზუსტებულია სხვადასხვა შინაარსობრივი თუ ტექნიკური საკითხი.

7.1. ***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:***

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულება. (დანართი 8)

დებულების დამტკიცების შემდეგ კენჭისყრაზე დაისვა კანცელარიის სტრუქტურაში ცვლილებების საკითხი.

7.2. საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის სტრუქტურაში და მისი სტრუქტურა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. საქმისწარმოების განყოფილება და 2. კანცელარიის არქივი.

8. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №97/2014 დადგენილება. მისი განცხადებით, აკადემიური საბჭოს დადგენილების ცვლილებები განპირობებულია უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტის შექმნით, დადგენილებას დაემატა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ანაზღაურების წესი და ოდენობა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №97/2014 დადგენილება. (დანართი 9)

9. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბერის №96/2014 დადგენილება. მისი განცხადებით, აკადემიური არჩევის წესში დაზუსტდა ტექნიკური საკითხები, სამართლებრივად გაიმართა და შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს მოქმედკანონმდებლობასთან.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბერის №96/2014 დადგენილება. (დანართი 10)

10. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბერის №95/2014 დადგენილება. დადგენილების საფუძველზე შექმნილი ცენტრის მიზანია შეისწავლოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხები, ასევე, დაეხმაროს უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობების გამო ტექნიკური პრობლემები ექმნებათ.

ადმინისტრაციის უფროსმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ დასძინა, რომ ცენტრის შექმნით უნივერსიტეტი რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას არ იღებს. ცენტრი ძირითადად იმუშავებს საგრანტო პროექტებისა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა და ქალბატონმა ცირა ბარამიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 23

წინააღმდეგი:0

მიღებული გადაწყვეტილება:დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბერის №95/2014 დადგენილება. (დანართი 11)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 30 სექტემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- ზარანდია ერეკლე
- ჩაბაკაური გიორგი
- ჩიტაძე სოფიო

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- კერესელიძე დავითი

- ქურდიანი რევაზი

სტუდენტები:

- ბახტურიძე პაატა
- გუბაძე ვასილი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- სამხარაძე ლაშა
- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2014 წლის 30 სექტემბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- გალდავა გიორგი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF MEDICINE

№ 1015/32 "03" 09 2014

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს, ბატონ კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

გთხოვთ თქვენს თანადგომას, რათა თსუ მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნას ცვლილება, რომელიც მიღებულია მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 29 მაისის # 42 სხდომაზე:

შევიდეს დამატება თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის N37 სხდომის ოქმის საფუძველზე (დანართი 6) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში და დებულების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე–4 პუნქტი.

„4. ფაკულტეტს აქვს და საქართველოს ექიმთა ასოციაციასთან ერთად ერთობლივად გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს – „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა - საქართველოს სამედიცინო ჟურნალი“.

პატივისცემით,

დიმიტრი კორძაია

ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

03 09 27 043/32

,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის ოქმით N3 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შეკიდეს შემდეგი ცვლილებები ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში:

ა) **დებულების სათაური** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება.

ბ) **დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") ბიბლიოთეკა (შემდგომში უნივერსიტეტის ,,ბიბლიოთეკა") წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელშიც დაცულია ფონდებად ორგანიზებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ისტორიულ-კულტურული ხასიათის მქონე საბიბლიოთეკო დოკუმენტები".

,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმით N4 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულებაში:

ა) დებულების **სათაური** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარატამენტის დებულება".

ბ) დებულების **პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ ,,უნივერსიტეტი") იურიდიული დეპარტამენტი (ტექსტში შემდგომ ,,დეპარტამენტი") წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს."

,,ა (ა)ი პ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილის სხდომის ოქმით N3 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულებაში:

ა) დებულების **სათაური** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულება.

ბ) დებულების პირველი მუხლის **პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") პერსონალის მართვის დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) ირიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 14 ივნისის სხდომის ოქმით N4 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შეკიდეს შემდეგი ცვლილებები არასამეწარმეო (არაკომერციული) ირიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის დებულებაში:

ა) დებულების **სათაური** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარატამენტის დებულება.

ბ) დებულების **პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი") საფინანსო დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

გ) დებულების მეორე მუხლის **მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - ,,ბ) უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, შემდგომში წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით".

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კანცელარიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) კანცელარია (შემდგომში – „კანცელარია“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. კანცელარია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. კანცელარია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.
4. კანცელარიას აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი დასახელების აღნიშვნით.

მუხლი 2. კანცელარიის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება

1. კანცელარიის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტში ერთიანი საქმისწარმოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი, რეალიზაცია, საქმისწარმოების საკითხების მარეგულირებელი აქტების პროექტების შემუშავება.

2. კანცელარიის ამოცანებია:
ა) დოკუმენტებზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, საქმისწარმოების ერთიანი წესებისა და სხვა მოქმედი მარეგულირებელი აქტების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, საინფორმაციო-საძიებო სისტემების, სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის მონიტორინგისა და შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა, დოკუმენტბრუნვის შემცირება, დოკუმენტების ფორმების უნიფიკაცია და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;
ბ) უნივერსიტეტში საქმისწარმოების საკითხების მარეგულირებელი და მეთოდური დოკუმენტების პროექტების შემუშავება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დოკუმენტების მართვის ერთიანი სისტემების დანერგვა და სრულყოფა;
გ) არქივის საქმიანობის წარმართვა – სტუქტურული ერთეულებიდან საარქივო დოკუმენტების მიღების, დადგენილი წესების შესაბამისად მათი დაცვის, მოწესრიგების, გამოყენებისა და მუდმივად შენახვისათვის გადასცემად მომზადების უზრუნველყოფა;

3. კანცელარიის ფუნქციაა:

ა) უნივერსიტეტში საქმისწარმოებასა და დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ერთიანი საქმისწარმოების სისტემის უზრუნველყოფა და მართვა;
ბ) კორესპონდენციის მიღება, რეგისტრაცია, საექსპედიციო დამუშავება, სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულება, ინფორმაციის შეტანა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში და კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნა;

გ) გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზება. რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების მონიტორინგი;
დ) უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესისა და სხვა მოქმედი აქტების შესაბამისად კორესპონდენციის დადგენილ ვადაში გაფორმების და დოკუმენტების კონტროლზე აყვანის ორგანიზაცია, შემსრულებლებისათვის მათი დროული მიწოდება, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და ანალიზი, შედეგების შესახებ ინფორმაციის განზოგადება და ხელმძღვანელობის სისტემატური ინფორმირება;
ე) დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა - დაბეჭდვის, ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება, დოკუმენტების ბლანკების შემუშავება;
ვ) მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;
ზ) ინფორმაციის გაცემა კანცელარიაში შემოსული დოკუმენტების შესრულებისა და გასული კორესპონდენციის დაგზავნის მდგომარეობის შესახებ;
თ) უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, მუშაობის ორგანიზაცია და გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, დოკუმენტბრუნვისა და დოკუმენტების შენახვის მონიტორინგი;
ი) არქივის მუშაობის ორგანიზება - საქმისწარმოების მუშაობის ერთიანი წესის შესაბამისად არქივის დაკომპლექტება საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით განსაზღვრული დოკუმენტებით, მათი აღრიცხვისა და დაცვის უზრუნველყოფა, არქივის დოკუმენტების საცნობარო აპარატის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენება, საარქივო მომსახურების განხორციელება, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება და დოკუმენტების, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული საარქივო ფონდის შევსების წყაროს, სახელმწიფო შენახვისათვის გადასაცემად მომზადება, გადაცემა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
კ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება საქმისწარმოების სფეროში, ტრენინგების პროგრამების შემუშავება და რეალიზება;
ლ) კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის კანცელარიის კომპეტენციის ფარგლებში.

4. კანცელარიის უფლებამოსილებაა:

ა) უნივერსიტეტში საქმისწარმოების უნიფიცირების მიზნით, შეიმუშაოს საქმისწარმოების ერთიანი წესები და დასამტკიცებლად წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლოს სტრუქტურული ერთეულების მიერ უნივერსიტეტში დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულება;
გ) განახორციელოს კონტროლი და მიიღოს ზომები უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის ოპტიმიზაციისათვის;
დ) სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი დამუშავებისათვის დაუბრუნოს არასწორად მომზადებული დოკუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნებს;
ე) სტრუქტურული ერთეულებიდან გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კანცელარიის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე;
ვ) უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში განახორციელოს საქმისწარმოების მონიტორინგი, მოითხოვოს და უზრუნველყოს საქმისწარმოების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების განუხრელი დაცვა;

ზ) განსაზღვროს ავტომატიზაციას დაქვემდებარებული საქმისწარმოების ამოცანები, შექმნას და განაახლოს საინფორმაციო ბაზები;
თ) შეიმუშაოს კანცელარიის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
ი) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება დოკუმენტებზე მუშაობას, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. წარადგინოს შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები;

მუხლი 3. კანცელარიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. კანცელარია წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი და მის სტრუქტურაში ერთაინდება საქმისწარმოების განყოფილება და კანცელარიის არქივი.
2. კანცელარიის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. კანცელარიის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) მის მოვალეობას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ასრულებს განყოფილების უფროსი.
3. კანცელარიის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს კანცელარიის საქმიანობას;
ბ) წარმოადგენს კანცელარიას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია კანცელარიაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს კანცელარიის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) ზედამხედველობს კანცელარიის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს კანცელარიაში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს კანცელარიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით კანცელარიისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს კანცელარიის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, კანცელარიის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია კანცელარიის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
კ) შუამდგომლობს კანცელარიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე, ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. კანცელარია შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
ა) საქმისწარმოების განყოფილება;

ბ) კანცელარიის არქივი.
5. საქმისწარმოების განყოფილების ფუნქციებია:
ა) უზრუნველყოს შემოსული და გასული კორესპონდენციის დოკუმენტბრუნვა;
ბ) აწარმოოს ბრძანებების გამოცემისა და ხელშეკრულებების გაფორმებისთან დაკავშირებული პროცედურები;
გ) წარმართოს დოკუმენტების ელექტრონული ინფორმაციული ბაზის ფორმირება და ადმინისტრირება;
დ) უზრუნველყოს საკონტროლო წერილებისა და დავალებების აღრიცხვა, შესრულების კონტროლი და ანალიზი;
ე) თავისი კომპენტენციის ფარგლებში აწარმოოს საინფორმაციო მომსახურეობა დოკუმენტების მოძრაობასა და შესრულების შესახებ.
6. კანცელარიის არქივის ფუნქციებია:
ა) უზრუნველყოს საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების მიღება, აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება;
ბ) განავითაროს არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-საცნობარო აპარატი;
გ)უზრუნველყოს არქივში დაცული დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის გადაცემა;
დ) ორგანიზება გაუკეთოს და ჩაატაროს დოკუმენტების მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულების შემფასებელი ექსპერტიზა;
ე) წარმართოს უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება-დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები.
7. კანცელარიის საშტატო განრიგი განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად. კანცელარიის თანამშრომლები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და თანამდებობრივი მოვალეობის შესაბამისად.
8. დოკუმენტებზე ხელმოწერის, აგრეთვე ასლის დოკუმენტთან შესაბამისობის დასადასტურებლად, საქმისწარმოების წესების შესაბამისად, კანცელარიაში გამოიყენება ბეჭდები და შტამპები, რომელთა ფორმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება და მტკიცდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 4. კანცელარიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
უნივერსიტეტის კანცელარიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №97/2014
30 სექტემბერი, 2014

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52^1-ე და 63-ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 25.09.2014, №35/01/02-75-04 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში, დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №7 და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს ოდენობები განისაზღვროს წინამდებარე დადგენილების დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6, დანართი №7-ის შესაბამისად;“

2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგში ამ დადგენილებით განსაზღვრული ცვლილებების ასახვისა და ამ ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცებული საშტატო განრიგის კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

<u>დანართი №7</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 20-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ- პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1850 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1360 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1300 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1050 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 810 ლარი.

დადგენილება №96/2014

30 სექტემბერი, 2014

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52^1-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესი“ (დანართი № 1);

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილება;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

რექტორი, პროფესორი

დანართი №1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს წევრთა

არჩევის წესი

მუხლი 1. არჩევნების გამოცხადება

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. რექტორის სამართლებრივი აქტი აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1.არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

2.საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

3. არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას სტუდენტური თვითმმართველობისა და არჩევნების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4. კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს უნივერსიტეტის წესდებისა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

6. საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით უფლებამოსილია შესაბამის ფაკულტეტებზე შექმნას საარჩევნო ქვეკომისიები.

მუხლი3. კომისიის თანამდებობის პირები

1.საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას.

მუხლი 4. თანამდებობრივი შეუთავსებლობა
საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირი, აგრეთვე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

მუხლი 5. არჩევნების ჩატარება
1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
2. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის უფლების მქონე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წამომადგენლების სახით, არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით. დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.
3. აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა 2 წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.
4. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება ორი გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.
5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა მოქმედი აკადემიური საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.
6. აკადემიურ საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენ ვაკანტურ ადგილზეც ტარდება არჩევნები.
7. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ის პირი, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.
8. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შესაძლებელია აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით.

მუხლი 6. არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი

1.კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
3.წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.
4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
5.წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

მუხლი 7. საარჩევნო სიები
1. საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე.
2.ფაკულტეტის საარჩევნო სია გადაეცემა საარჩევნო კომისიას.

მუხლი 8. კანდიდატთა რეგისტრაცია
1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.
2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 9. არჩევნების პროცედურა
1.საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.
2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
3.საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
ა) შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;
ბ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.
4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი სარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში, მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ იმდენ კანდიდატს, რამდენი პირიც არის

ასარჩევი, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

მუხლი 10. არჩევნების შედეგების შეჯამება

1.კენჭისყრა იწყება 10.00 საათზე და მთავრდება იმავე დღეს 17.00 საათზე.

2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან სარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

3. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტმა.

4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

5.საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია იმაზე მეტი კანდიდატურა,რამდენის არჩევის უფლებაც ჰქონდა;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 11. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ დაწესებულების საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალი;

გ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.
5. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.
6. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 12. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:
ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 13. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 14. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.
2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 15. საბოლო შედეგების გამოქვეყნება

1.საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი აქტით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5, დანართი 11.

დადგენილება №95/2014

30 სექტემბერი, 2014

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52^1-ე მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის № 33174/02, 25.09.2014 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი“.

2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის“ დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

რექტორი, პროფესორი

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანომდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

4. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი თსუ-ს ლოგოთი და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ცენტრი განთავსებულია შემდეგ მისამართზე : თსუ III კორპ., ი. ჭავჭავაძის გამზირი № 11ა , 0179, თბილისი.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ქვეყანაში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

2. ცენტრის ფუნქციებია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) სატრენინგო პროგრამების შემუშავება და ჩატარება;

გ) საერთოშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

დ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელების და სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ხელშეწყობა;

ე) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაცია;

ვ) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და უფლებამოსილებები

1. ცენტრს მართავს ცენტრის დირექტორი, რომელსაც ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ცენტრის დირექტორი:

ა) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) უნივერსიტეტის რექტორს არაუგვიანეს მომდევნო წლის მეორე კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიშს;

ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. ცენტრის დირექტორს საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს ცენტრის დირექტორის ასისტენტი.

4. ცენტრის დირექტორის, ცენტრის დირექტორის თანაშემწის და დამხმარე პერსონალის საქმიანობა ანაზღაურდება ცენტრის მიერ მოზიდული თანხებიდან.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.